ცნობის ფურცელი

№ 1703 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ორშაბათი, 21 იანვარი № 1703

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, ურამ [illegible] დ მატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. ჰალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა. **ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—5)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე

ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—7)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24.

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მიმდინარე წელს ისწავლოს ჭიათურაში არსებულ სამთო პრაქტიკულ უფასო კურსებზე, ამ წლის 1-ლ თებერვლამდე წერილობით უნდა განუცხადოს კურსების გამგეს ინჟენერს ნ. ა. მარკოვსკის დაბა ჭიათურაში; განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პიროვნების შესამოწმებელი საბუთის ქაღალდი.

კურსებზე სწავლის მსურველს მოეთხოვება რუსულის ენის ცოდნა და ამ ენაზე წერა-კითხვა. კურსებზე მიიღებიან არა ნაკლებ 20 წლისა; უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც სამუშაოს განაგებენ, ან შორაპნის სამრეწველო რაიონში მსახურებენ. (ნ. 3—2)

ცინკოგრაფია

ტიფლ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 28 დეკემბერს 1901 წ. დაამტკიცა ტფილისის სამარხი კასის **წესდება**.

◆ „კავკაზ“-ს გაუგონია, რომ **ყოვლად სამღვდელო კირიონი** გორის ეპისკოპოსი, გადაჰყავთ იმერეთის ეპარქიაში—იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ადგილზე, რომელიც გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ინიშნება.

◆ ტფილისის სომეხთა საზოგადოებას, როგორც გადმოგვცეს, განუზრახავს, რომ მაისის პირველ რიცხვებში **იდღესასწაულოს 45 წლის** ლიტერატურული მოღვაწეობა სომეხთა პოეტისა და მწერლის ბ. ბარხუდარიანცისა.

◆ **ოზურგეთიდან** დეპეშით გვატყობინებენ, რომ „შუამავლის“ გამგედ ისევ ქეიშვილი აურჩევიათ.

◆ ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა გაზეთში, რომ ალექსანდრეს ქუჩაზე გენერალ ოსტროგორსკის სახლს **ცეცხლი გაუჩნდა**. ამის გამო შემდეგი გვიამბეს: „ჯერ იყო და ტელეფონები შევძარით, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმისთვის გვეცნობებინა, მაგრამ ვერას გავხდით, რადგანაც ტელეფონები გაფუჭებული ყოფილიყო. შემდეგ, რამდენიმე ხნის უკან, მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, შეუდგა მუშაობას მაგრამ ამაოდ: ბოჭკებში წყალი გაყინულიყო და ერთი წვეთიც აღარ ამოდიოდა. ამ გარემოებამ სამართლიანი საყვედური გამოიწვია საზოგადოებისა: „იარაღი კარგი გაქვს, ხალხი ბლომათა გყავს, შენს თვალწინ სახლი იბუგება, ცეცხლი სხვა მეზობელ სახლებსაც ემუქრება და შველა კი არ შეგიძლიან!“ ამაზედ რაზმის ბრანდმეისტერმა და ცეცხლის მქრობელ რაზმის სხვა მოხელეთ განაცხადეს, რომ წყლით სავსე ბოჭკები და სხვა იარაღი ფარღალალა ფიცრულში აწყვია, სადაც წყალი ძალზედ იყინება და ამიტომ ჩვენ არაფერში დამნაშავენი არა ვართო. მართლაცა და რაში არიან დამნაშავენი ცეცხლის მქრობელ რაზმის მოხელენი, როდესაც ქალაქის თვით-მმართველობას ათასჯერ მოულაპარაკნია ამ საქმეზედ, ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა დიდი ხანია შემდგარია და ამ საჭირო საქმისთვით შენობის აგებას კი ჯერაც ხელს არა ჰკიდებენ. მაშ ზამთრობით ცეცხლის მქრობელი რაზმის შენახვა სულ ტყუილი ხარჯი ყოფილა!

დაბა-სოფლები

სოფ. კალაური (კახეთი). სოფ. კალაური მდებარეობს თელავიდამ 20 ვერსის სიშორეზე და გაშენებულია ცივ-გომბორის მთის კალთაზე. თუმცა წინად ცალკე საზოგადოებას შეადგენდა, მაგრამ წარსული წლიდან ახალი ორგანიზაციის ძალით იგი შეუერთდა ს. ვაჩნაძიანის საზოგადოებას. ამ სოფელში ითვლება 300 მეტი კომლი გლეხ-კაცი. მცხოვრებთა რაოდენობას რომ შევადაროთ სწავლა-განათლების საქმე, უნებურად ჩაეცინება კაცს და მწარედ ჩაფიქრდება. ამ სოფელში 1900-წლამდე არავითარი პირველი დაწყებითი სკოლა არ ყოფილა. ამ წელს კი სამრევლო სკოლა დაარსდა. სკოლა შესამჩნევ ნაყოფსაც გამოიღებდა ამ სწავლის მხრივ უმწეო ნიადაგზე, რომ, საუბედუროდ, მცხოვრებთ უნდობლად არ დაეწყოთ ყურება; ისე რომ პირველ ხანებში (თუმცა არც ეხლა აქვთ თავ-პირის მტვრევა) არავის მიჰყავდა თავისი შვილი სასწავლებლად, მაგრამ ადგილობრივი ეკკლესიის მღვდელმა კალატოზოვმა როგორც იყო შეკრიბა საკმაო რიცხვი შეგირდებისა და დაიწყო სკოლამ თავისი მოქმედება.

ბევრი წელი გავა, რომ ამ სოფელმა შარშანდელი დამჩნეული დაღი ვერ მოიშოროს. მთელ წელიწადს ყოველივე უბედურება ერთი ერთმანეთზე დაერთო. ჯერ იყო და გაზაფხულზე მოსულმა სეტყვამ ცარიელი დასვა მთელი ჭირნახულიდამ, სოფლელთ, არამც თუ წლის სარჩო, სათესლეც ვერ აიღეს და ბევრი ვენახში არც-კი შესულა ყურძნის მოსაწყვეტად. ამისათვის მამაკაცნი აქეთ-იქით სოფლებში და საუფლისწულო მამულებში გაიხიზნენ სამუშაოდ, რათა შიმშილისაგან მაინც ეხსნათ თავიანთი ცოლშვილი. ამას გარდა შემოდგომაზე გაჩნდა საქონლის ჭირი და უფრო დააქვეითა მათი ნივთიერი მდგომარეობა.

კახელი კაცი, ვიდრე პირში სული უდგას, ვერ დაივიწყებს დღეობებს. შიმშილი-კი არა, ისე აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი დღეობები, სახლი რომ ეწოდეს, დღეობაში არ დაიშლის წასვლას და თუ არაფერი აბადია, თავს დაიგირავებს და წვეულებას-კი გამართავს. ვინ მოიფიქრებდა, რომ აგეთ მდგომარეობაში მყოფთ კიდევ დღეობა მოაგონდებოდათ. მაგრამ მათ არაფერი არ დაზოგეს მისთვის, რომ წმ. ნინოობას თავიანთ დღეობას წვეულება გაემართნათ და მოყვარე-ნათესაობას კარგა გამასპინძლებოდნენ. 14 იანვარს წმ. ნინოობას იშვიათი ოჯახი იქნებოდა, სადაც სტუმრები არა ჰყოლოდათ და კარგა ხარჯი არ მოსვლოდათ. მხოლოდ ამ ხარჯის ნახევარს ვერას გზით ვერ გამოადებინებდით აქაურ გლეხ-კაცს ისეთი საქმისათვის, როგორიც არის სწავლა-განათლება და სხვ.

წერილი სიღნაღიდან

ამ წელს ცოტა არ იყოს ღრმა ძილიდან გამოეგო სიღნაღი, საკმაოთ შეიხმუხნა და ღამის ძილი მთლად განდევნოს. ძალიან გასართობებით შეეგებნენ სიღნაღელები ახალ წელს და ვნახოთ, რითი დაბოლოვდება. ჯერ გასართობად მიიწვია მარინეს სკოლის ზედამხედველმა. არა ჩვეულებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ სკოლის უფროსმა იზრუნა საერთო საქმეზე და სკოლის სასარგებლოდ გამართა საკრებულო დარბაზში შობის ხე. თუმცა ბალღებისთვის უნდა გაემართათ შობის ხე და ამიტომ დაკლებული ფასები დააწესეს—50 კაპ., მაგრამ აქ უფრო დიდებმა გაატარეს დრო, ვიდრე უმაწვილებმა. იყვნენ, მართალია, უმაწვილებიც, მხოლოდ ძალიან ცოტანი და ისინიც მალე დაითხოვეს სახლში და მერე მთლათ ბურთი და მოედანი დიდებს დარჩათ. მაგრამ ან კი რა გართობა იქნებოდა, როდესაც იმოდენა ხალხში შეგროვილიყო, რომ დარბაზში ზედაგირა იყო აგებული და ნემსი რაა, ნემსი არ ჩაიგდებოდა. იაფფასიან ბილეთებს ბევრი ხალხი მიეზიდნა, თუმცა რაც ბილეთებში დააკლეს, ის ბუფეტში ხილეულეულობაზე და სასმელებზე ერთი ათათ გადიდებული ფასებით შეავსეს. რაკი საქველ-მოქმედო მიზნით იყო გამართული, საზოგადოება არა ზოგავდა ფულს და ერთი ათათ მეტს იხდიდა. ასე რომ დიდ-ძალი მოგება უნდა დარჩენილიყო და თუ ეხლაც რიგიანი ანგარიში არ აჩვენეს გამგებელთ, მაშინ კი საზოგადოება სულ მთლათ შემოფრთხება საქველ-მოქმედო მიზნით გამართულ გასართობებს, რადგან ძალიან ელმეცერათ უყურებს წინა წლების არა სასიამოვნო მაგალითების მნახველი. ამასთან საჭიროა ყურადღება მიაქციონ უმაწვილების გართობასაც და მარტო სახელით კი არ გამართონ, არამედ სახრავათაც და ხელმისაწვდომათაც გარდააქციონ, ნამეტნავათ ღარიბ და შეუძლებელ მოსწავლეთათვის, რომელთათვისაც საჭიროა გაცნობა და გართობა სულიერის თუ გონებითი საზრდოს მოსაპოვებლად, თორემ მდიდარნი და შეძლებულნი ისეც, კერძო სახლებში, ბევრ რასმე ხედავენ და გართობაც არ აკლიათ.

მეორე გასართობი—წარმოდგენა გახლდათ სომხურ-ქართულ ენაზე. ადგილობრივ სცენის მოყვარულთ ამ თვის 13-ში პირველ დაწყებით ლიონოზოვის სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოთ ითამაშეს სომხურათ „დამოკლიოს მახვილი“ სამ მოქმედებიანი დრამა ტერ-გრიგორიანცისა და ქართული ორ-მოქმედებიანი ვოდევილი რ; ერისთავისა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. ძნელი დრამა როგორც იყო დაეძლიათ მოთამაშეთ და როლების საუკეთესოთ შესწავლით როგორც იყო საერთოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგიანათ შეასრულეს. მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ სომხური ენა აქ არც თვით მოთამაშეთ ესმით და არც მაყურებელთ. მეორეც ეს, მაყურებელნი უმეტესათ ქართველები და რუსები იყვნენ, ან ისეთი სომხები, რომელთაც სრულიათ სომხური არ იციან, თუ იციან რამდენიმე სიტყვა, ისიც გადამახინჯებული და არა ლიტერატურული ენა—დრამა კი ლიტერატურულის ენით არის დაწერილი. აი ეს გახლდათ მიზეზი, რომ თვით არტისტიულმა თამაშობამ ქ. ა. გოძიევიანცისამ და ბ. ა. გრიგორიანცისამ და ავტორის გულის გამგმირავ სიტყვებმაც ვერ იხსნეს საზოგადოება ძილისაგან და ვიდრე დრამა დამთავრდებოდა, ზოგმა საკმაოთ გამოიძინა. თუ სცენის მოყვარულთ ჰსურთ ხალხი მიიზიდონ (და რომ ჰსურთ იქიდანაც ჩანს, რომ ბილეთები არა ჩვეულებრივ იაფი იყო), მოვალენი არიან აირჩიონ ხოლმე დაბალი ხალხისთვის ადვილათ გასაგები პიესები და იმისთანა იდეებით, რომელსაც ხალხის გონება ადვილათ მოინელებს.

თუ სომხურმა კარგათ ნათამაშევმა დრამამ მაინც დააძინა დამსწრენი, ქართულმა უხეიროთ გათრეულმა ცოცხალმა გოდევილმა გამოაფხიზლა და გაამხიარულა. მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთმა მოთამაშემ როლი რიგიანათ არ იცოდა, მაინც გოდევილმა თავისი გაიტანა და დამსწრენი სიცილის გუნებაზე მოიყვანა. ამას ხელი შეუწყეს ქ. ა. გოძიევისამ და ნამეტნავათ გ. მელიქნუბაროვმა ხელოვნურის თამაშობით. გოძიევისას და მელიქ-ნუბაროვს ემჩნევათ სცენიური ნიჭი და უფრო ბევრს აცინებდნენ ხალხს და როლებსაც უკეთესად შეასრულებდნენ, რომ მათ რიგიანი და მცოდნე ხელმძღვანელი ჰყოლოდათ. რამდენად მოთამაშეთ მშვენივრათ შეასრულეს სომხური როლები, იმდენათ უხეიროთ იცოდნენ ქართული. ამიტომ თავიანთ სომხურ-ქართული ენით გოდევილს ამახინჯებდნენ და სიცოცხლეს აცლიდნენ. საერთოთ ისიც უნდა შევნიშნოთ ამ სცენის მოყვარულთა საყურადღებოთ და მით უმეტეს, რომ ესენი ხშირათ თამაშობენ ხოლმე სომხურათ და ახლა კიდევ განუზრახავთ ქართული პიესების დადგმაც, რომ უფრო მეტის პატივით და ყურადღებით მოექცნენ სცენას და საზოგადოებას, როცა ქართულათ თამაშობენ. თუ უნდათ ქართულათ ითამაშონ, ეცადნენ ისე მოაწყონ და ისეც ჩაიცვან, როგორც პიესა თხოულობს. თუ თითონ არ იციან, სიღნაღში მოიპოვებიან ქართულის მცოდნე ქართველნი, რომელნიც არ დაიზარებენ რეპეტიციებზე დასწრებას და ხელმძღვანელობას. თუ არა და სჯობია ქართულ პიესებს ჩამოეცალნენ, რომ საზოგადოებას სულ დამახინჯებული და წინააღმდეგ მნიშვნელობით არ გააცნონ სცენა და ქართული პიესები.

ყველას ეღირსა, ყველა გასწორდა და მოწესრიგდა, მაგრამ ამ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას არა ეშველა რა და ძველ თავის ჩვეულებას თავს არ ანებებს. ჩვენ იმაზე არას ვიტყვით, რომ გაზეთების და წერილების დაკარგვა იშვიათი ხალი არ არის ხოლმე. სიღნაღიდან სულ კვირაში ორჯელ გადის დაზღვეული და ფულიანი წერილები, ამიტომ ყველანი სცდილობენ ამ გადაზე მოასწრონ გაგზავნა, თორემ თუ ვერ მოასწრეს, მაშინ მთელი კვირა და მეტიც გვიანდება ხოლმე და ეს კი კომერციისათვის დიდათ მაზარალებელია. მაგრამ ცოტა ადრე მიხვალთ კანტორაში, შემოგპანდურავენ-ადრე არისო, და თუ უკანასკნელ გადამდის ერთი საათით ადრე არ მიხველით, პასუხსაც არ გაღირსებენ. ეხლა ამის გამო ჩივილსაც აპირობენ, რომ უკანასკნელ გადამდის ერთი საათით ადრე ჰკეტობს კონტორა ფულის მიღებას.

შორეული.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემი უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს და შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინეს სოფელ კოტიანეთის სამრევლო სკოლას. ამასთანავე დიდს მადლობას ვსწირავ ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს ბ-ნს ლორთქიფანიძეს, რომელიც დიდს დახმარებას მიწევდა ფულის მოკრების დროს. აქვე გაახლებთ შემწირველთა სიასაც: ორ-ორი მანეთი:—არსენ ბაქრაძე; სპირიდონ მატარაძე, ნიკო ჯანაშია, პ. ლორთქიფანიძე, ილარიონ გვანცელაძე, გრიგორ გეგენავა, ივლიანე გაგუა; თითო მანეთი:—გიორგი ქავთარაძე, ბიკტორ ბერიძე, გრიგოლ ქავთარაძე, გრიგოლ ხუნწარია, თადა გერსამია, მეთო შეროზია, პეტრე ქავთარაძე, სამსონ ნაჭყებია, ესტატე ხარბედია, ფილიპე ძაძამია, ბესარიონ კოკაია. არსენ ცხაკაია, ალმასხან კუჭავა; 50 კაპ.:—ალექსანდრე ჩიქობავა, ჯამულეთ ხარბედია; 25 კაპ.:—გუდულა ბოკუჩავა. ილია ოჩიგავა, ბიჭინია ხუხია. სულ ერთიან 28 მან. და 75 კ.

კოტიანეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი **ელენე ქავთარაძე**

II

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქვემო დასახელებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ფულით შემწეობა აღმოუჩინეს ხევის წიგნთ-საცავს და სახალხო კითხვებს, აგრეთვე ბ-ნ ა. ბარნოვს, რომელმაც შრომა მიიღო და შეაგროვა ეს შეწირულება ნაცნობთა შორის ქ. თელავში. აი შემომწირველნიც: ქ-ნი სოგინი—1 მ., ვლ. ედილაშვილი—50 კ., თ. პაატაშვილი—50 კ., მ. ჯახვახიშვილი—50 კ., №№—20 კ., ქ. ზარაფიშვილი—20 კ., ი. დ.—20 კ., ნ. მარკოზაშვილი—20 კ., ნ. შიუკაშვილი—20 კ., მ. სირბილაძე—20 კ., ეგ. ახმეტელაშვილი—20 კ., დიაკ. ბაკურაძე—20 კ., №—20 კ., თელაველი—20 კ., ქართველი ქალი—20 კ., ბ. 20 კ., ვ. პაატაშვილი—15 კ., თამრო—15 კ., ი. ნ.—10 კ. და სხ. თღ.—10 კ. სულ გამოსაგზავნი ფულით 5 მან. 40 კ.

ბლ. მღ. **ნიკიფორე კანდელაკი**

III

ამ რამდენიმე ხნის წინად ს. დიდი-ჯიხაიშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ, სხვადა-სხვა ადგილს და მათ-შორის ტფილისშიაც მოგროვდა შემოწირულება. მას შემდეგ, გადის აგერ თითქმის ოთხი თვე და მისი არაფერი არ ისმის, მიაღწია თუ არა შემოწირულებამ თავის დანიშნულებას. ამის გამო ზოგიერთ ქველ-მოქმედთ იჭვი აღეძრათ: „შესაძლებელია ჩვენმა შეწირულებამ ჩაიღულის წყალი დალია და თავის დანიშნულებას ასცდაო". სასურველია გამგემ, რომელიც ამას წინად აცხადებდა: „ვთხოვთ შემოწირულების ამკრეფთ დროზედ მოგვაწოდონ თავიანთი შეგროვილი ფული. რადგანაც ძრიელ ვესწრაფვით საკუთარი შენობის აგებასაო"—შეგვატყობინოს ამ საქმის ვითარება.

ერთი ქველ-მოქმედთაგანი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

19 იანვარი

პეტერბურგი. 19 იანვარს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და ხელმწიფე მემკვიდრემ საიმპერატორო ხელოვნების წამქეზებელ საზოგადოების დარბაზში დაათვალიერეს კრაჩკოვსკის სურათების გამოფენა.

პარიზი. არრასის მიდამოებში გრაფ დეპამ, ნადირობის დროს, მოჰკლა გარეული ტახი; ტყვიამ თავი გაუხვრიტა ტახს და მოხვდა გრაფინია დეპას; გრაფინია გარდაიცვალა.

შანჰაი. იანცეს ოლქის ვიცე-კოროლებმა მიმართეს მთავარ საბჭოს საჩივრით იმის გამო, რომ რობერტ გარტმა გაავრცელა სადამოჟნო-საფოსტო სამსახური იმ ოლქებში, რომლებიც იმყოფებიან ხუბეის და ხუნანის შუაგულში.

ვარშავა. დომბროვსკის მადნის ნახშირთ-მრეწველებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ ბალტიის ზღვის ნავთ-სადგურებში ნახშირის გადასაზიდავ ტარიფს დაეკლოს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საგუბერნიო საკრებულომ უარჰყო საგუბერნიო საერო კრების დადგენილებანი, საზოგადო-საერო ბეჭდვითი გამოცემის. შესახებ.

სარატოვი. საადრესო სტოლი არსდება.

მოსკოვი. გაასამართლეს გლეხ-კაცები კარპოვი და ზუიკოვი, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ ჯამგაროვების საბანკო კანტორიდან ყალბის ჩეკით 9,000 მან. მიიღეს. რადგანაც ფული გასამართლებამდის დააბრუნეს, ბრალდებულნი გაამართლეს.

ლოძი. სადგურ კოლიუშკიზე მოვიდნენ ინჟენერები, რათა გამოიკვლიონ ცენტრალური ვოკზალის აშენების საქმე ყველა რკინის გზებისთვის, რომლებიც აქ იყრიან თავს.

ცარიცინი. ადგილობრივი საბირჟო კომიტეტი შუამდგომლობს, რომ კომერციული სასწავლებელი გახსნას.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბროდრიკი ლაპარაკობს საქმეების მდგომარეობაზე სამხრეთ აფრიკაში და ამბობს, რომ თვალწინ ჯერ კიდევ სამი დიდი რაზმი გვყავს მტრისა: დევეტის ჯარები, რომელთაც შეუძლიანთ, თუ შემთხვევა იქნება, საშიში სამხედრო ძალა შეიქნენ; ბოტას რაზმი, რომლის მოძრაობაც ძალიან გაძნელებულია უკანასკნელი საქმეების გამო, და დელარეის ჯარები. თითო ამ რაზმს 2,000 კაცი ჰყავს.

ნიჟნი ნოვგოროდი. საერო საავადმყოფოს ექიმმა კომაროვიჩმა დაწესებულს საათზე არ მიიღო გასასინჯად მძიმე ავადმყოფი ტყის მცველი.

ჰააგა. დილით გარეშე საქმეთა მინისტრი ესაუბრა მინისტრ-პრეზიდენტს, რის შემდეგაც სასახლეში წავიდა.

პირველი მდივანი ინგლისის საელჩოსი ლონდონში წავიდა. დიპლომატიურს წრეებში ფიქრობენ, რომ ნიდერლანდიის მთავრობის ცნობების გამოქვეყნებას და ინგლისის კაბინეტის პასუხს უნდა ველოდეთ მომავალს კვირაში.

იოკაჰამა. 210 ჯარის კაცი, რომლებიც კუნძულის ჩრდილოეთ მხრიდან მოდიოდნენ, გზას ასცდნენ თოვლში და დაიღუპნენ. ერთი კაცი გადარჩა.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ გარდაუხადა საბანკო კომისიას შანჰაიში პირველი ნაწილი სამხედრო საზღაური.

20 იანვარი

მოსკოვი. 19 იანვარს გაიხსნა თავად-აზნაურთა კრება.

პეკინი. ქვრივმა დედოფალმა, იმპერატორმა და იმპერატრიცამ სასახლეში მიიღეს სადიპლომატო კორპუსის მანდილოსანნი თავიანთის ბავშვებით.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 18 იანვარს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65—94,70
ბერლინზე „	[illegible],30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—
5% 1-ლი შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	$468^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	367 „
5% გირავნ. მამ. ფურც. სა ხელმ. საადგ. მამ. ბანკისა	$69^{1}/_{2}$ „
$3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^{7}/_{8}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$82^{3}/_{4}$ გაყიდ.
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებელით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის

ქიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის **კუთხეში**, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ობელიანისა	—	40
აკაკი **წერეთლის** I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთვის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისი	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ლევინის დაყენება პრომეს. **ვ. პეტრიაშვილისა**	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები **ფას დადებით** გაიწერონ, ხოლო გაწერილ **წიგნების ფასის** ერთი მესამედი პირველად უნდა **წარმოადგინონ.** მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის **მარკებით** გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.**

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკი

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

და რუსულ

„ПАСТЫРЬ"-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი"	3 მან.	6 თვით „მწყემსი"	2 მან.
— „ რუსული	3 „	— „ რუსული	2 „
— „ ორივე გამოცემა	5 „	— „ ორივე გამოცემა	3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში—ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и „ПАСТЫРЬ". (ვ. 3—3)

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.